ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 166

"19" მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო შეთანხმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა და ,,ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო შეთანხმების გაფორმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის №23.700.774 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში - ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე